პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 27 თებერვალი, 1948 წ. № 41 (8085). ფასი 20 კაპ.

100 წელი შესრულდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გენიალური ნაშრომის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოსვლიდან.

განვლილმა 100 წელმა სავსებით დაადასტურა „მანიფესტში“ განვითარებული იდეების ცხოველმყოფელობა და ძალა. მარქსისა და ენგელსის საქმის გენიალურმა განმგრძობებმა ლენინმა და სტალინმა განავითარეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს მარქსიზმი, მეცნიერული კომუნიზმის იდეებით შეაიარაღეს მილიონები, მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე განახორციელეს კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა—სოციალიზმი.

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად და უძლეველ დროშას!

წინ, კომუნიზმისაკენ!

## მარქსიზმის საპროგრამო დოკუმენტი

ასი წელი შესრულდა მარქსიზმის უკვდავი დოკუმენტის — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნებიდან. ასი წლის წინათ პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველად ისტორიაში გენიალური სიცხადით დაასაბუთეს კაპიტალიზმის აუცილებელი დაღუპვა და პროლეტარიატის გამარჯვება.

მარქსმა და ენგელსმა „მანიფესტით“ მუშათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა ახალი, სწორი გზით წაიყვანეს. „ეს პატარა წიგნაკი, — სწერდა ვ. ი. ლენინი „მანიფესტის“ შესახებ ჯერ კიდევ 1895 წელს,—მთელ ტომებად ღირს: მისი სულით ცოცხლობს და დღემდე მოძრაობს ცივილიზებული მსოფლიოს მთელი დარაზმული და მებრძოლი პროლეტარიატი“.

კაცობრიობის ისტორიამ იცის არა ერთი ნიჭიერი მეცნიერისა და გაბედული მოაზროვნის სახელი, რომლებიც ცდილობდნენ აეხსნათ საზოგადოების განვითარების კანონები, კლასობრივი ბრძოლის კანონები. მაგრამ მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა შესძლეს თავისი „მანიფესტით“ გამოსულიყვნენ მწყობრი თეორიით საზოგადოების განვითარების შესახებ და შეეიარაღებინათ პროლეტარიატი გამარჯვების მეცნიერებით.

ჰქმნიდნენ რა „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“, მარქსი და ენგელსი გამოდიოდნენ არა როგორც ერთეული სწავლულები, არამედ როგორც წარმომადგენლები რევოლუციური პროლეტარიატის კლასისა, რომლის ინტერესებისათვის ბრძოლას დაუკავშირეს მათ მთელი თავიანთი მოღვაწეობა. ამაშია მარქსისა და ენგელსის, როგორც პროლეტარიატის დიდი ბელადების, ისტორიული როლი, ამაშია მათი მოძღვრების ძალა და უძლეველობა.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, მარქსიზმის ამ ქებათა ქებაში, — როგორც მას უწოდა დიდმა სტალინმა, —მარქსმა და ენგელსმა ნიღაბი ჩამოჰხადეს კაპიტალის სამყაროს და იგი წარმოგვიდგინეს თავისი ნამდვილი სახით — პროლეტარიატის სასტიკ ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობით, სახელმწიფოებრივი წყობილებით, ოჯახის, საკუთრების ფორმებით, ყალბი მორალით და თავისი მგლური კანონებით. „მანიფესტში“ ცეცხლოვანი სიტყვებით გამოაშკარავებულია ბურჟუაზიული წყობილების მთელი მანკიერება. მაგრამ ამასთან ერთად „მანიფესტის“ ავტორებმა გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმი წარმოშობს თავის მესაფლავეს, — პროლეტარიატს, რომლის გამარჯვება ისევე გარდუვალია, როგორც ბურჟუაზიის დაღუპვა.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ წითელ ზოლად მისდევს ბურჟუაზიის ძალდატანებით დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეა. მარქსი და ენგელსი „მანიფესტში“ მიუთითებდნენ, რომ პროლეტარიატი უნდა გადაიქცეს გაბატონებულ კლასად და თავისი პოლიტიკური ბატონობა იმისათვის გამოიყენოს, რომ ძირიანად მოსპოს კაპიტალიზმი, წაართვას ბურჟუაზიას წარმოების იარაღები და საშუალებანი და ააშენოს ახალი, კომუნისტური საზოგადოება.

„კომუნისტურ მანიფესტში“ მისმა გენიოსმა ავტორებმა გამოხატეს პროლეტარიატის საარსებო ინტერესები. ამიტომ გახდა ეს წიგნი მშრომელთა კუთვნილება, მათი პროგრამა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მანიფესტის“ ისტორია — ეს თვით მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაა.

მარქსიზმის მტრები, ყველა სახის რევიზიონისტები და ოპორტუნისტები, არაერთხელ ცდილან დაემახინჯებინათ მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, გამოეცალათ მისთვის მისი რევოლუციური შინაარსი. მათ განსაკუთრებით მძაფრი იერიშები მიჰქონდათ პროლეტარიატის დიქტატურის იდეის წინააღმდეგ, რომელიც მთავარია მარქსიზმში. მარქსისა და ენგელსის იდეა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ დაიცვეს და შემდგომ განავითარეს ლენინმა და სტალინმა. ლენინის გენიალურმა აღმოჩენამ ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც შემდგომ დაამუშავა, განავითარა და ხორცი შეასხა ამხანაგმა სტალინმა, მუშათა კლასს ხელთ მისცა უძლეველი იარაღი მაშინ, როცა სოციალისტური რევოლუცია უშუალოდ დღის წესრიგში დადგა.

ლენინმა და სტალინმა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ ვითარებაში გენიალურად განავითარეს „კომუნისტურ მანიფესტში“ მარქსისა და ენგელსის მიერ [illegible] მონახაზები პარტიის შესახებ, შექმნეს მწყობრი თეორია [illegible] როგორც პროლეტარიატის [illegible] ვი ორგანიზაციის უმაღლესი [illegible] შესახებ, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების [illegible] თადი იარაღის შესახებ.

მეცნიერული კომუნიზმის [illegible] რები არაერთხელ შენიშნავდნენ [illegible] იდეები, როცა ისინი მასებს [illegible] ბიან, იქცევიან უდიდეს [illegible] ლენინისა და სტალინის [illegible] ქმნილებებში, მათ მიერ [illegible] ბოლშევიკური პარტიის საქმეში „მანიფესტის“ იდეები გადაიქცა [illegible] ლეველ ძალად ახალი, [illegible] ტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

მარქსისა და ენგელსის [illegible] ყოვლისმძლე ძალა, ყველაზე [illegible] სჩანს ჩვენს დღეებში, ჩვენს [illegible] ში სოციალიზმის ზეიმის ეპოქაში.

„მანიფესტის“ იდეები [illegible] ლებული შრომის საზეიმო [illegible] ჟღერს გამარჯვებული სოციალიზმის უდიდეს დოკუმენტში — სტალინურ კონსტიტუციაში. ის, რაც „მანიფესტში“ დასახული იყო როგორც პროლეტარიატის მცირერიცხოვანი [illegible] დის პროგრამა, სტალინურ [illegible] ციაში ჩაწერილი და განმტკიცებულია როგორც ათეულ მილიონობით ადამიანთა ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების ურღვევი კანონი.

ასი წლის წინათ მარქსი და ენგელსი „მანიფესტში“ სწერდნენ, რომ კომუნიზმს ახასიათებს არა მოსპობა საკუთრებისა საერთოდ, არამედ მოსპობა ბურჟუაზიული საკუთრებისა. ეს სიტყვები ახალი სიცოცხლით ცოცხლობენ სტალინურ კონსტიტუციაში, რომელიც ამკვიდრებს სოციალისტურ საკუთრებას, როგორც ურღვევ საფუძველს ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისა, სადაც სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და სადაც ადამიანის თავისუფალი შრომა იქცა სახელისა და დიდების საქმედ.

ასი წლის წინათ „მანიფესტში“ მარქსი და ენგელსი პროლეტარიატს ასწავლიდნენ, რომ იმდენად, რამდენადაც მოისპობა ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, მოისპობა აგრეთვე ერთი ერის მიერ მეორის ჩაგვრაც. „მანიფესტის“ ეს დებულება თავის დადასტურებას პოულობს გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციაში, რომელიც ამკვიდრებს ჩვენს ქვეყანაში ყველა ერისა და რასის სრულ თანასწორუფლებიანობას. იგი ცოცხლობს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა სტალინურ მეგობრობაში.

ისევე, როგორც ასი წლის წინათ, კაპიტალიზმის რეაქციული ძალები ახლაც გაერთიანდნენ კომუნიზმისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მათ სურთ მოსპონ [illegible] დაასამარონ კომუნისტური [illegible] მაგრამ თუ მათ ეს ვერ შესძლეს ასი წლის წინათ, როცა [illegible] კომუნიზმი ის იყო გამოდიოდა [illegible] განვითარების ფართო გზაზე, [illegible] რო ვერაფერი უშველით მათ [illegible] როცა კომუნიზმი დაუძლეველ [illegible] გადაიქცა მთელ მსოფლიოში.

დიდი სტალინი ამ თოთხმეტი წლის წინათ თავის ისტორიულ მოხსენებაში პარტიის XVII ყრილობაზე [illegible] „მარქსიზმი არის მუშათა კლასის საარსებო ინტერესების მეცნიერული გამოხატულება. რომ მოსპო მარქსიზმი, უნდა მოსპო მუშათა კლასი, მუშათა კლასის მოსპობა კი შეუძლებელია. ოთხმოც წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც მარქსიზმი ასპარეზზე გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში ათეული და ასეული ბურჟუაზიული მთავრობა ცდილობდნენ მარქსიზმის [illegible] მაგრამ რა? ბურჟუაზიული მთავრობები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მარქსიზმი კი რჩებოდა. უფრო მეტიც, მარქსიზმმა მიაღწია იმას, რომ მან სრული გამარჯვება მოიპოვა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე“.

მარქსიზმი ცოცხლობს და [illegible] ვებს. ვერაფერი შეაჩერებს [illegible] მისაკენ ძლევამოსილ სვლას. [illegible] თი ხანა დადგა, რომ ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიჰყავართ.

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად დროშას!

წინ, კომუნიზმისაკენ!



კ. მარქსი ფ. ენგელსი ვ. ლენინი ი. სტალინი

## მოსკოვის მისალმება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისადმი მათი 30 წლისთავის დღეს

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა საბჭოთა არმიისა და ფლოტის, დედაქალაქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოცდაათი წლისთავისადმი, მხურვალედ მიესალმება და ულოცავს არმიისა და ფლოტის მებრძოლებსა და მეთაურებს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ოცდაათი წლისთავს.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა თავისი არსებობის ოცდაათი წლის მანძილზე ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გმირული საბრძოლო გზა განვლეს. ოცდაათი წლის განმავლობაში ისინი მტკიცედ დგანან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა საგუშაგოზე, საიმედოდ იცავენ ჩვენს სამშობლოს გარეშე მტერთაგან.

საბჭოთა სახელმწიფოს მტრებს არაერთგზის უცდიათ ხელყოფა ჩვენი წმინდა მიწა-წყლის წინააღმდეგ და საბჭოთა შეიარაღებული ძალები ყოველთვის გამარჯვებული გამოსულან მტრების წინააღმდეგ ბრძოლიდან.

გასული ოცდაათი წლის განმავლობაში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ორჯერ მოიგერიეს საბჭოთა კავშირზე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თავდასხმა.

პირველად — 1918-1920 წლებში, როცა სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა მოიგერიეს იმპერიალისტ ინტერვენტთა თავდასხმა და დაიცვეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

მეორედ — 1941-1945 წლებში, როცა გერმანელ ფაშისტთა არმია, რომელმაც მთელი ევროპა დაიპყრო, თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და როცა სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა არამარტო დაიცვეს ჩვენი სამშობლო მტრისაგან, არამედ სასტიკადაც დაამარცხეს ჰიტლერული გერმანია.

საბჭოთა მეომრების უმაგალითო გმირობა დიდი სამამულო ომის ძლევამოსილ ბრძოლებში მოსკოვსა და სტალინგრადთან, ლენინგრადსა და კურსკთან, დნეპრსა და ვისლაზე, დუნაისა და ოდერზე, ვენასა და ბერლინთან—საუკუნეებში იცოცხლებს.

საბჭოთა ადამიანების გულში სამარადისოდ იცოცხლებს იმ გმირთა ხსოვნა, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

საბჭოთა ხალხი თავისი შეიარაღებული ძალების ოცდამეათე წლისთავს დღესასწაულობს მშვიდობიანი შრომის ვითარებაში. ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა სახალხო მეურნეობის აღსადგენად და განსავითარებლად.

მაგრამ საბჭოთა ხალხი, მტკიცედ ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას, ერთი წუთითაც არ ივიწყებს ახალი ომის საფრთხეს, რომელსაც ომის გამჩაღებლები ამზადებენ.

საბჭოთა ხალხს ეჭვი არა აქვს, რომ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები ისევე მტკიცედ იდგებიან სსრ კავშირის მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე, როგორც ოცდაათი წლის განმავლობაში იდგნენ.

საბჭოთა ხალხს ეჭვი არა აქვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სცადეს გარედან აღმართონ ხელი ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრების წინააღმდეგ, ჩვენი არმია და ფლოტი არ დააყოვნებენ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ მშვიდობის დამრღვევთ.

ჩვენი არმიისა და ფლოტის ამხანაგო მეთაურებო და მებრძოლებო! დედაქალაქის მშრომლები მხურვალედ მოგესალმებიან და გისურვებენ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, თქვენი ოსტატობის სრულყოფაში, საბჭოთა სამხედრო მეცნიერების ათვისებაში.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

დიდება საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეთაურებსა და მებრძოლებს!

## მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესია

25 თებერვალს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შესდგა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ასი წლისთავისადმი.

შესავალი სიტყვით „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“, როგორც მეცნიერული კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტის, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ამხ. პ. ა. შარია.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხ. შარიას საბოლოო სიტყვებს მარქსისა და ენგელსის გენიალურ იდეათა განხორციელების საქმეში ლენინ-სტალინის პარტიის მიერ მოპოვებულ დიად გამარჯვებათა შესახებ, კომუნიზმის ყოვლისმძლე მსვლელობის შესახებ, კომუნიზმისა, რომელსაც წარმატებით აშენებს საბჭოთა ხალხი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ (მომხსენებელი ამხ. ი. მირცხულავა); „მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური განვითარება „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შექმნამდე“ (მომხსენებელი ამხ. ა. ქუთელია); „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაწარმოებებში“ (მომხსენებელი ამხ. ა. კიკვიძე); „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გავლენა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივ აზრზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (მომხსენებელი ამხ. ლ. გორგილაძე).

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა და თბილისის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა. (საქინფორმ).

მოსკოვი, კრემლი

## ბატონ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონო გენერალისიმუსო!

საზღვრიდან გიძღვნით უნგრეთის მთავრობის უაღრესად მხურვალე მადლობას იმ დაუვიწყარი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც გაგვიწიეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ქალაქ მოსკოვის მოსახლეობამ.

ერთხელ კიდევ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ უნგრელი ხალხი ღრმად გრძნობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახლა ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომელიც გამოხატავს ორი ხალხის დიდიხნის წინათ დაწყებულ მეგობრობას. უნგრეთი მძლავრი საბჭოთა კავშირის მოკავშირე გახდა და მუდამ იბრძოლებს პროგრესული ერების მხარეზე ხალხთა მშვიდობისათვის და მათი საიმედო განვითარებისათვის.

ლაიოშ დინიეში

უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ ნ. მ. შვერნიკს

მოსკოვი

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და ვბრუნდები რა სამშობლოში, კვლავ გიძღვნით მადლობას იმ გულითადი მიღებისათვის, რაც თქვენ და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გაგვიმართეს.

ბედნიერი ვარ, რომ საბჭოთა კავშირში სტუმრად ვიყავ იმ მომენტში, როცა ჩვენი ქვეყნების მთავრობებმა ურთიერთ შორის დასდეს ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ეჭვი არა მაქვს, რომ ჩემი შეხვედრები თქვენთან სსრ კავშირში დაუვიწყარი ყოფნის დროს ხელს შეუწყობენ იმას, რომ უნგრელი ხალხის გულღია და გულითადი მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხთან გაძლიერდეს და განმტკიცდეს.

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, სულითა და გულით მსურს, რომ მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის, რაც გაფორმებულია ხელშეკრულებით, მთლიანად განხორციელდეს.

უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოლტან ტილდი

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საბჭოთა კავშირის გმირების „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის **საბჭოთა კავშირის გმირები:**

1. მაიორი **კოლდუნოვი** ალექსანდრე ივანეს-ძე
2. გვარდიის კაპიტანი **კრეტოვი** სტეფანე ივანეს-ძე

დაჯილდოებულ იქნან „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით. გაკეთდეს ბრინჯაოს ბიუსტები და დაიდგას პოსტამენტებზე დაჯილდოებულთა სამშობლოში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1948 წ. 23 თებერვალი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ქალაქ რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შესახებ

ქალაქ რუსთავში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნებამდე შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

მუსერიძე პარმენ ბართლომეს-ძე—აღმასკომის თავმჯდომარე,
სუვოროვი ნიკოლოზ ანდრიას-ძე—აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე,
ქუჩულორია ვიქტორ ვლადიმერის-ძე—აღმასკომის მდივანი.

**აღმასკომის წევრები:**

ზედგინიძე გიორგი პლატონის-ძე,
გიორგაძე ნესტორ ასალოს-ძე,
გომელაური ნიკოლოზ გიორგის-ძე,
ვიშნიაკოვი ივანე დიმიტრის-ძე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 25 თებერვალი. ქ. თბილისი.

## ბრძანებულება

### რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### რსფსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მოწვეულ იქნეს 1948 წლის 10 მარტს ქ. მოსკოვში.

**რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ვლასოვი**

**რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ბახმუროვი**

მოსკოვი, 1948 წლის 21 თებერვალი.

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა დედაქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საბჭოთა არმიისა და ფლოტის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 30 წლისთავისადმი, მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, მშრომელთა დიდ ბელადს, მასწავლებელს და გენიალურ მხედართმთავარს!

დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები სიამაყის კანონიერი გრძნობით აღნიშნავენ გმირი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოცდაათი წლისთავს.

ოცდაათი წლის წინათ მშრომელთა დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა საფუძვლები ჩაუყარეს ახალ არმიას — განთავისუფლებული მუშებისა და გლეხების არმიას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ძმობის არმიას, რომელიც აღზრდილია თავისუფლებისადმი და სხვა ხალხთა დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. მთელი მათი ისტორია წარმოადგენს გმირობის, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისა და თავისი სამხედრო მოვალეობის მამაცური შესრულების მაგალითს. ეს განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა იმ შესანიშნავ გამარჯვებებში, რომლებიც ჩვენმა არმიამ და ფლოტმა დიდ სამამულო ომში მოიპოვეს.

ჩვენი მშობლიური საბჭოთა არმიისა და ფლოტის გამარჯვებათა უშუალო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ხართ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ. თქვენ შეაიარაღეთ არმია და ფლოტი ყველაზე მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებით, ასწავლეთ ჩვენს მამაც მეომრებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა თავდადებით დაცვა, ასწავლეთ გამარჯვების ხელოვნება.

ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმას, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში ხალხის, არმიისა და ფლოტის მთელი ძალები წარმართეთ იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის აქტიური თავდაცვის მომზადებისაკენ. საბჭოთა სოციალისტურმა მრეწველობამ ჩვენს არმიას, ავიაციასა და ფლოტს მისცა პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკა. ბოლშევიკურმა პარტიამ საუკეთესო კადრები გაგზავნა შეიარაღებული ძალების განსამტკიცებლად. თქვენ მუდამ ასწავლიდით საბჭოთა მეომრებს იმას, რომ შეუპოვრად დაუფლებოდნენ სამხედრო საქმეს და მუდამ მზად ყოფილიყვნენ ჩვენი სამშობლოს დასაცავად. აქტიური თავდაცვისათვის ჩვენი ქვეყნის წარმატებით მომზადება გახდა ჩვენი გამარჯვებების საფუძველი დიდ სამამულო ომში.

მკაცრი განსაცდელი გადაიტანეს ჩვენმა ქვეყანამ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის მოულოდნელი და ვერაგული თავდასხმით. მძლავრმა საბჭოთა ხალხმა და მისმა არმიამ და ფლოტმა ეს განსაცდელი ღირსეულად გადაიტანეს იმიტომ, რომ ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდექით თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჩვენო დიდო ბელადო და მხედართმთავარო.

გენიალური გამჭვრეტელობით გვიჩვენეთ თქვენ მტერზე სრული გამარჯვების მოპოვების გზა.

თქვენი ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის მთელი მეურნეობა უმოკლეს ვადაში გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე. ზურგის მთელი ღონისძიებანი მიმართული იყო ფრონტის დასახმარებლად.

თქვენმა ურყევმა რწმენამ საბჭოთა ხალხის გამარჯვებისადმი, თქვენმა ნებამ და მამაცობამ აღაფრთოვანეს საბჭოთა ჯარები ისტორიული გმირობისათვის დიდ სამამულო ომში.

მრისხანე დღეებში, როცა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა თავაწყვეტილი ურდოები მოსკოვისაკენ მოისწრაფოდნენ, თქვენ, ამხანაგო სტალინ, სათავეში ჩაუდექით დედაქალაქის დაცვას, უშუალოდ ხელმძღვანელობდით მოსკოვის დამცველთა საბრძოლო მოქმედებას. თქვენი გენიალური სტრატეგიული გეგმით გერმანელ ფაშისტთა ურდოები განადგურებულ იქნენ მოსკოვთან. სამუდამოდ გაცამტვერდა გერმანელთა მიერ შექმნილი ლეგენდა გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ყველა მოსკოველის მხურვალე მადლობა ჩვენი მშობლიური, სახელოვანი ქალაქის გადარჩენისათვის!

ხალხის ხსოვნაში არასოდეს არ დაიჩრდილება საბჭოთა არმიის გმირული გამარჯვება სტალინგრადისათვის ბრძოლებში. სტალინგრადი გახდა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება. სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა ველარ მოახერხეს წელში გამართვა.

მოსკოვიდან, სტალინგრადიდან და ლენინგრადიდან ფაშისტთა ბუნაგ ბერლინამდე საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მკაცრ ბრძოლებში გამოატარეს მტერზე ჩვენი გამარჯვების დროშა.

საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ევროპის ხალხები საძულველი ფაშისტური უღლისაგან, რითაც სამუდამოდ დაიმსახურა მთელი პროგრესული კაცობრიობის მადლობა.

საბჭოთა ხალხი, რომელმაც მოიპოვა დიადი გამარჯვება გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე, დაუბრუნდა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას.

თქვენს ისტორიულ სიტყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს თქვენ, ამხანაგო სტალინ, დასახეთ სოციალისტური საზოგადოების ძალთა შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა.

ომისშემდგომი ხუთწლედი გახდა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შრომის დროშა. წარმატებით შესრულებულია მისი პირველი ორი წლის პროგრამები. მთელს ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მუშებმა, ოსტატებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა მტკიცე პირობა მოგცეს თქვენ, ამხანაგო სტალინ — 1948 წელს გამოუშვან უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია, ვიდრე 1940 წელს.

მოსკოვის მრეწველობის მუშაკებმა ხუთწლედის მესამე წლის პირველი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. 300-ზე მეტმა ქარხანა-ფაბრიკამ საბჭოთა არმიისა და ფლოტის დღისათვის შეასრულა ორი თვის პროგრამა. დედაქალაქის იმ ცხრა საწარმოს მაგალითისამებრ, რომლებმაც უარი სთქვეს სახელმწიფო დოტაციაზე, ჩაღდება ბრძოლა სახსრების მკაცრი ეკონომიისათვის, ქარხანა-ფაბრიკების რენტაბელობის ამაღლებისათვის, დაგროვებათა გადიდებისათვის.

საბჭოთა ადამიანები თავდადებულად შრომობენ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ და მუდამ ახსოვთ თქვენი მითითებანი, რომ საჭიროა ფხიზლად ვადევნოთ თვალყური საერთაშორისო რეაქციის ვერაგულ ხრიკებს, რომელიც ისწრაფვის ახალი ომის გაჩაღებისაკენ.

ისტორიის ფალსიფიკატორები ყოველნაირად ცდილობენ დაუმალონ საზოგადოებრივ აზრს ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის იმპერიალისტთა სამარცხვინო შეთანხმება 1939-1941 წლებში მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების შესახებ. ისინი ცდილობენ ჩირქი მოსცხონ ჩვენი სახელმწიფოს თანმიმდევრულ და მტკიცე ბრძოლას დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ისტორიული ცნობა—„ისტორიის ფალსიფიკატორები“ ამჟღავნებს ომის გამჩაღებლებს, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყოფს მათს ვერაგულ პოლიტიკას, რაც მიმართულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. ეს დოკუმენტი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს აიარაღებს იმპერიალისტური, ანტიდემოკრატიული ბანაკის ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, უფრო ამაღლებს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტს.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის უშიშროების უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს მშრომელთა თავდადებული ბრძოლა სსრ კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი შრომისა და უშიშროების საგუშაგოზე დგანან საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებიც მუდამ მზად არიან დაიცვან საბჭოთა სახელმწიფოს სახელი და ღირსება.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი რწმენით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მრავალჟამიერ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მთელი საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს სახელოვან კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას!

დიდება ჩვენს ბელადსა და მხედართმთავარს დიდ სტალინს!

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

23 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი გორაკი, რომელმაც, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დავალებით აცნობა ვ. მ. მოლოტოვს, რომ პრაღაში 17 და 18 თებერვალს შესდგა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, და გადასცა ნოტა, რომელსაც დართული აქვს ამ თათბირზე გერმანიის საკითხის გამო მიღებული დეკლარაციის ტექსტი.

იმავე დღეს ვ. მ. მოლოტოვი ინახულეს იუგოსლავიის ელჩმა ბ-ნმა პოპოვიჩმა და პოლონეთის ელჩმა ბ-ნმა ნაშკოვსკიმ, რომლებმაც, თავიანთი მთავრობების დავალებით, აცნობეს მას, რომ პრაღაში შესდგა სამი მინისტრის თათბირი, და გადასცეს ანალოგიური ნოტები და ამ თათბირზე მიღებული დეკლარაციის ტექსტები.

## ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ვასილის-ძე **როშჩინი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ჩინეთში.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. აპოლონ ალექსანდრეს-ძე **პეტროვი** ავადმყოფობის გამო გაათავისუფლა ჩინეთში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე ანდრიას-ძე **ლავრიშჩევი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად თურქეთში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. სერგი ალექსანდრეს-ძე **ვინოგრადოვი** სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა თურქეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, 1947 წელს **სიმინდისა** და **ხორბლის** უხვი მოსავლის მიღებისათვის და ამასთან კოლმეურნეობის მიერ სავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ის სამუშაოთა ნატურსაზღაურის შესრულების, სახელმწიფოსათვის თამბაქოს, ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსების ნაყოფის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულების და 1948 წლის თესვის თესლით უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფი.

მათ შორის **ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია 256 კაცი.

**შრომის წითელი დროშის ორდენით** — 417 კაცი.

**მედლით „შრომითი მამაცობისათვის“** — 330 კაცი.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“**—219 კაცი. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წარმომადგენლები

25 თებერვალს მოსკოვს ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მდივანი-ხაზინადარი ჯეიმს კერი და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის საერთაშორისო განყოფილების გამგე მაიკლ როსი, რომლებიც პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. კუზნეცოვს შეხვდებიან. (საქდესი).

# სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებას საქართველოს კოლმეურნენი ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ

## დიდი შრომითი აღმავლობა

სასიხარულო ცნობა მოვიდა გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამ კოლმეურნეობის ბევრ მოწინავეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით შემდგარ მიტინგზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. გოგოხიამ განაცხადა: შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ კარგი მოსავალი მიიღო, წარმატებით შეასრულა ყველა დავალება. 64 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეობაში მიღებულია 93,5 ცენტნერი სიმინდი, აქედან სოციალისტური შრომის გმირების ა. გოგოხიას ბრიგადაში 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 108,9, ჭ. გოგოხიას რგოლში — 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 112,9, ხოლო გ. გოგოხიას რგოლში 3 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე — 117,3 ცენტნერი. ჩვენს ამ წარმატებებს პარტიამ, ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცეს. ჯილდოს პასუხად, განაცხადა ამხ. გოგოხიამ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წელს მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი. კოლმეურნეთა სახელით ვკისრულობთ 350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე წელს მოვიყვანოთ 40 ცენტნერი სიმინდი, 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 6 ტონა ჩაი. ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირებმა — მერგოლეურებმა დ. ბუტბაიამ, ჭ. გოგოხიამ, გ. გოგოხიამ, ბრიგადირმა ა. გოგოხიამ და ცალკეულმა კოლმეურნეებმა.

ოჩამჩირის რაიონის ტყვარჩელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურ ვართან არშბას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამხ. არშბას რგოლმა შარშან მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 75,13 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ნაცვლად მის მიერ ნაკისრი 70 ცენტნერისა. მისი შვილის სოციალისტური შრომის გმირის ვლადიმერ არშბას ბრიგადამ კი უზრუნველჰყო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19 ცენტნერი თამბაქოს მიღება. ისინი დიდ მადლობას უძღვნიან პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს მაღალი ჯილდოს მინიჭებისათვის, ამასთან ახალი ძალით აჩაღებენ მუშაობას წელს უკეთეს წარმატებათა მოპოვებისათვის.

ოჩამჩირის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ბაძუ გაბლიამ მიტინგს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო 6 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 73,95 ცენტნერი სიმინდი. მან პირობა დადო, რომ თვითეული ჰექტარის მოსავლიანობას 80 ცენტნერამდე გაადიდებს. ასეთივე ვალდებულება იკისრა ბრიგადირმა მ. გოგოხიამ.

ს. შონია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## ახალი ვალდებულებანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებული აქვს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის 4 მოწინავე მუშაკს.

მაღალმა ჯილდომ კოლმეურნეები ერთსულოვნად აღაფრთოვანა და დარაზმა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

— ეს ჯილდო, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. მ. ორაგველიძემ, — ჩვენთვის უდიდესი პატივია. იგი ნათლად გვიჩვენებს სტალინურ მზრუნველობას კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებზე, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ გაძლიერებასა და აყვავებაზე. ჩვენმა კოლმეურნეობამ შარშან სანიმუშოდ იმუშავა, ჩაის დარგში დავალება 151 პროცენტით შეასრულა, ციტრუსების— 130, ტუნგოს — 102 პროცენტით; 150 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 3.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 15,5 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე — 72,9 ცენტნერი სიმინდი, დანარჩენ 274 ჰექტარზე — 20,4 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა. შრომადღეზე გაცემულია 20 მანეთი და 3,5 კილოგრამი მარცვლეული, გარდა ამისა პრემიის სახით კოლმეურნეებს მიეცათ 420.000 მანეთი და 34 ტონა სიმინდი. უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით კოლმეურნეთა სახელით ვკისრულობთ კოლმეურნეობაში შარშანდელთან შედარებით ციტრუსების მოსავალი გავადიდოთ 100 პროცენტით, ტუნგოსი — 30, ჩაისა — 20 პროცენტით, ავითვისოთ 60 ჰექტარი ყამირი, შარშანდელზე 50 ჰექტარით მეტი დავთესოთ მარცვლეული, 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 70 ცენტნერი სიმინდი, დანარჩენ ფართობზე კი საშუალოდ 20 ცენტნერზე მეტი.

უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის სოციალისტური შრომის გმირებმა კარლო გორგილაძემ, ელენე ხელაძემ, სოლომონ ქარჩავამ, სტახანოველებმა ნინო გოგოძემ, ტატიანა ჩხაიძემ და სხვებმა.

კოლმეურნეობამ საგაზაფხულოდ უკვე მოხნა 200 ჰექტარზე მეტი მიწა. დამთავრებულია ჩაის პლანტაციებში ზამთრის ყველა სამუშაო, მინდვრებში გააქვთ ნაკელი. კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ მიღწეულ წარმატებათა განსამტკიცებლად, ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

## მაღალი ჯილდოს პასუხად

დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა მიტინგი ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მიტინგზე შეკრებილმა ორასმა კოლმეურნემ ყურადღებით მოისმინა პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივნის ამხ. ე. ტაკიძის ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესახებ. კოლმეურნეობის ბრიგადირმა თევრად მოწყობილმა, გამოხატა რა ყველა კოლმეურნის აზრი, განაცხადა:

— პატივი, რომელიც წილად ხვდა ჩვენს კოლმეურნეობას, გვავალებს კიდევ უფრო თავგამოდებით ვიმუშაოთ, გამოვიყენოთ წარჩინებული მერგოლეურის გამოცდილება და მივაღწიოთ მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას. ჩემი ბრიგადის სახელით ვკისრულობ ვალდებულებას ჩვენზე მომაგრებული 17,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე წელს მივიღოთ სულ ცოტა 4-5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გასულ წელს მოკრეფილი 2 ტონის ნაცვლად.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტური შრომის გმირმა აიშე ჯოჯავაძემ, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

## ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი შ რ ო მ ი ს გ მ ი რ ე ბ ი



**ტ. ფ. აბუხბაია**

გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 87,90 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.



**ვ. მ. არშბა**

ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 75,13 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.



**მ. ბ. გუბელაძე**

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 78,40 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.



**ტ. ი. ახალაია**

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ მერგოლეური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 4,5 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 10,000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მიღებისათვის.



**ბ. პ. გვიჩია**

ცხაკაიას რაიონის თეკლათის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 107,68 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.



**ა. ხ. ბარზანია**

გუდაუთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70,64 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

# რევოლუციური მოქმედების დიადი პროგრამა

კაცობრიობის საუკეთესო მომავალზე დიდი ხნიდანვე ოცნებობდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. ცოტა როდი იყვნენ მამაცი სწავლულები, რომლებიც მშრომელთა მხარეზე დგებოდნენ, წინაღუდგებოდნენ ხოლმე ჩაგვრასა და ექსპლოატაციას, გამოდიოდნენ ადამიანისა და მოქალაქის ინტერესების დასაცავად. ბევრი მოაზროვნე, მეცნიერი ცდილობდა აეხსნა და გადაეწყვიტა საკითხი, თუ რა იწვევს სიღატაკეს, რომელიც ძლიერდება კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, როგორ უნდა დააღწიოს თავი ადამიანთა უმრავლესობამ შიმშილსა და ტანჯვა-წამებას. მაგრამ მარქსამდელი მოაზროვნეების საუკეთესო წარმომადგენლები უძლური იყვნენ მეცნიერულად აეხსნათ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, სწორი პასუხი გაეცათ ამ კითხვებზე, მეცნიერულად განეჭვრიტათ მომავალი.

დიდი უტოპისტი სოციალისტები: ფურიე, სენ-სიმონი, რობერტ ოუენი; რუსი რევოლუციონერი დემოკრატები: გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და სხვები მომავლის გენიალური მეოცნებენი იყვნენ. ისინი მრავალ სქემებს თხზავდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების შესაქმნელად. მაგრამ მათი ოცნება მოკლებული იყო განხორციელების შესაძლებლობას და მხოლოდ ოცნებად, უტოპიად რჩებოდა.

საზოგადოებრივი განვითარების მატერიალური პირობების მოუმწიფებლობა, ერთი მხრივ, ხოლო მეცნიერული აზროვნების მოუმწიფებლობა, მეორე მხრივ, ხელს უშლიდა შემუშავებულიყო ჭეშმარიტი თეორია ისტორიის განვითარების შესახებ. მარქსამდელ მოაზროვნეებს არ ესმოდათ საზოგადოებრივი განვითარების კანონები. ისინი იდეალისტურად ხსნიდნენ ისტორიას, მომავლის გეგმების შემუშავების დროს ეყრდნობოდნენ არა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, არამედ შეგნებას, ადამიანთა „კეთილ სურვილებს". მათ მიერ შემუშავებული მომავლის გეგმები, მათი თეორიები და მომავლის განჭვრეტანი არ ემყარებოდნენ სინამდვილის მეცნიერულ შესწავლას.

როდესაც კაპიტალიზმი მომწიფდა და ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წინააღმდეგობამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, ამ დროიდან კლასთა ბრძოლამ, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად მკაფიო ფორმები მიიღო. ამ დროს ბურჟუაზიული იდეოლოგია მთლიანად რეაქციის სამსახურში დგება. მეცნიერული კვლევის ადგილს, მარქსის სიტყვებით, მყვირალა პოლემიკა და არაკეთილსინდისიერი, მლიქვნელური აპოლოგეტიკა იჭერს. ამ დროს „ბურჟუაზიული ეკონომისტისათვის საკითხი ის კი არაა, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის თეორემა, არამედ — სასარგებლოა იგი კაპიტალისათვის თუ საზარალო, ვარგისია მისთვის თუ უვარგისი, შეეფერება პოლიტიკურ მოსაზრებებს თუ არა" (კ. მარქსი—„კაპიტალი", მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობა).

პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობის განვითარებამ მატერიალური საფუძველი მოამზადა მეცნიერული თეორიის წარმოშობისათვის, მაგრამ მის შესამუშავებლად საჭირო იყო აზროვნების სათანადო მომწიფება. „დიდი ჯახირი, წვალება და ცვლილება დასჭირდა ადამიანის აზროვნებას, — სწერს ამხანაგი სტალინი, —სანამ იგი მიადგებოდა მეცნიერულად შემუშავებულსა და დასაბუთებულ სოციალიზმს. დასავლეთ ევროპ ს სოციალისტებს ძალიან დიდხანს მოუხდათ უგზოუკვლოდ ეარნათ უტოპიური (ოცნებრივი, აუსრულებელი) სოციალიზმის უდაბნოში, სანამ გაიკვლევდნენ გზას, გამოიკვლევდნენ და დაასაბუთებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობის კანონებს და აქედან — კაცობრიობისათვის სოციალიზმის აუცილებლობას" (ი. სტალინი, —თხზულებანი, ტ. I, გვ. 11).

მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა შესძლეს აემაღლებინათ სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებამდე. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა თავიანთი მეცნიერული სოციალიზმის თეორია მწყობრად ჩამოყალიბებული სახით მოგვცეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში". ამ წიგნში მოხაზულია მუშათა კლასის მსოფლმხედველობა, გაშუქებულია კაცობრიობის განვითარების გზები, მეცნიერულადაა ახსნილი აწმყო და გენიალური სიზუსტით არის განჭვრეტილი კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობა.

მარქსისა და ენგელსის მეცნიერული განმჭვრეტელობა მომავლის შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ, ემყარება დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიას, რომლის საფუძველზე შესაძლებელია სწორად შევიცნოთ სინამდვილე, გავერკვეთ გარემომცველ ვითარებაში, დავინახოთ „არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში" („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 431).

მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის გამოყენება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში ჰგულისხმობს სინამდვილისადმი კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას, დროს, ადგილისა და პირობების გათვალისწინებას, იმის გარკვევას, თუ რა იზრდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რა ბერდება. მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი გვასწავლის, რომ ორიენტაცია ავიღოთ იმაზე, რაც წინ მიდის, ხელი შევუწყოთ ძველის დამხობას და ახლის გამარჯვებას, კი არ მივაფუჩეჩოთ, არამედ ბოლომდე მივიყვანოთ ის წინააღმდეგობანი, რომლებიც სინამდვილის კანონზომიერ განვითარებას იწვევენ. შემეცნების ასეთი მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული მარქსსა და ენგელსს. ამ თვალსაზრისით მიუდგნენ ისინი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" კაცობრიობის მთელი განვლილი ისტორიის შესწავლას და მოგვცეს ბრწყინვალე ნიმუში არა მარტო იმისა, თუ როგორ უნდა ვიკვლევდეთ და ვსწავლობდეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას აწმყოში, არამედ იმის გენიალური ნიმუშიც, თუ როგორ უნდა ვჭვრეტდეთ მას მომავალში.


Manifest der Kommunistischen Partei.
Veröffentlicht im Februar 1848.
London.
Gedruckt in der Office der „Bildungs-Gesellschaft für Arbeiter" von J. E. Burghard.
46, Liverpool Street, Bishopsgate.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" 1848 წლის გამოცემის გარეკანი

საკდესის ფოტოქრონიკა

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მოცემულია საზოგადოების მთელი ისტორიული განვითარების მატერიალისტური ანალიზი. საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერულმა გამოკვლევამ და, კერძოდ, არსებული კაპიტალისტური წყობის ღრმად შესწავლამ, მარქსსა და ენგელსს ნათლად დაანახვეს, თუ რას წარმოადგენს ნამდვილად საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, რა მიზეზებით იცვლება და ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორ შესცვალა კაპიტალიზმმა ფეოდალიზმი და როგორ და საით მიგვიყვანს ისტორიული პროცესის შემდგომი განვითარება.

მარქსი და ენგელსი, განიხილავენ რა საკუთრების ფორმების ცვალებადობასა და განვითარებას, მიუთითებდნენ, რომ „ფეოდალური საკუთრების ურთიერთობანი აღარ შეეფერებოდნენ უკვე განვითარებულ მწარმოებელ ძალებს. ისინი აფერხებდნენ წარმოებას, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყოთ მისთვის, ისინი მის ბორკილებად იქცნენ. ისინი უნდა დამსხვრეულიყვნენ და დაიმსხვრნენ კიდეც" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", გვ. 32).

ანალოგიური პროცესი დაინახეს მარქსმა და ენგელსმა კაპიტალისტური წარმოების პროცესში. მათ ნათლად გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმმა თავისი დრო მოსჭამა, კაპიტალისტური საკუთრება ჩიხში ემწყვდევა, წარმოების ანარქია და პერიოდული კრიზისები მძიმე, გამოუვალ მდგომარეობას ჰქმნიან კაპიტალისტებისათვის, საწარმოო ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობას შორის ხდება კონფლიქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის არსებული წინააღმდეგობა. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება — სწერენ მარქსი და ენგელსი,—მისი ბურჟუაზიული საწარმოო და აღებმიცემის ურთიერთობითურთ, ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთობითურთ, — რომელმაც თითქოს ჯადოსნობით შეჰქმნა ესოდენ ძლიერი საწარმოო და აღებმიცემის საშუალებანი, იმ ჯადოქარს ჰგავს, რომელსაც ვეღარ დაუმორჩილებია მის მიერ ქვესკნელიდან ჯადოთი გამოწვეული ძალები". (იქვე, გვ. 33).

კაპიტალიზმის განვითარების შინაგან ტენდენციაში მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად განჭვრიტეს ბურჟუაზიული საზოგადოების დამხობისა და მომავალი კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების ისტორიული აუცილებლობა.

მარქსმა და ენგელსმა დაწვრილებით დაახასიათეს კაპიტალისტური წარმოება, ფართო ანალიზი გაუკეთეს მას, გვიჩვენეს კაპიტალიზმის წიაღში წინააღმდეგობა და ანტაგონიზმი როგორ „ამწიფებს იმავე დროს ახალი საზოგადოების შექმნის ელემენტებს და ძველი საზოგადოების გარდაქმნის მომენტებს" (კ. მარქსი „კაპიტალი", გვ. 450). ბურჟუაზია, რომელმაც თავის დროზე „უაღრესად რევოლუციური როლი შეასრულა ისტორიაში", ახლა რეაქციული კლასი ხდება, ხოლო პროლეტარიატი ახალი, მზარდი, პროგრესული კლასია, რომელიც წინ მიილტვის და რომელსაც მომავალი ეკუთვნის. აქედან მარქსი და ენგელსი იძლევიან წინასწარმეტყველურ დასკვნას: „ბურჟუაზიას არ შესწევს უნარი დარჩეს მეტხანს საზოგადოების გაბატონებულ კლასად და თავისი კლასის საარსებო პირობები საზოგადოებას მოახვიოს თავს, როგორც სახელმძღვანელო კანონი... საზოგადოებას აღარ შეუძლია ბურჟუაზიის ბატონობის ქვეშ ცხოვრება, ე. ი. ბურჟუაზიის არსებობა შეუთავსებელია საზოგადოების არსებობასთან... ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად აუცილებელი არის" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", გვ. 40-41).

მარქსმა და ენგელსმა არა მარტო კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა იწინასწარმეტყველეს, არამედ ამასთან ერთად განჭვრიტეს კომუნიზმის გამარჯვების გზები, დაინახეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის ახალი მებრძოლი ძალა, რომელიც ისტორიულადაა მოწოდებული ახალი ცხოვრების შესაქმნელად. ასეთ ძალად მარქსი და ენგელსი პროლეტარიატს სთვლიდნენ.

რატომ აიღეს ორიენტაცია პროლეტარიატზე მარქსმა და ენგელსმა? განა, იმიტომ, რომ იგი საკუთრებას მოკლებულია და ღატაკია? არა, ამ შემთხვევაში სიღატაკეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქ საქმე ის არის, თუ რომელი კლასია წარმოების უმთავრესი ფუნქციების შემსრულებელი, რა იზრდება ცხოვრებაში და რა ბერდება. „პროლეტარიატი ერთადერთი კლასია — სწერს ამხ. სტალინი, — რომელიც შეუჩერებლად იზრდება და მტკიცდება, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას წინ სწევს და თავის გარშემო იკრებს ყველა რევოლუციურ ელემენტს, ჩვენი ვალია უმთავრეს ძალად ვაღიაროთ ის დღევანდელ მოძრაობაში, გვერდში ამოვუდგეთ მას და მისი მოწინავე სურვილები ჩვენ სურვილებად გავიხადოთ". (ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 281-282).

მარქსი და ენგელსი პროლეტარიატში ხედავდნენ განდევნილ ადამიანობას, საკუთრებას მოკლებულ კლასს, და ამავე დროს ყველაზე უფრო რევოლუციურ კლასს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლ კლასთა შორის, რომელმაც თვითონვე უნდა გაითავისუფლოს თავი. „პროლეტარიატი, თანამედროვე საზოგადოების ეს უუდაბლესი ფენა, — მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი,— ვერ წამოდგება, ვერ გაიმართება წელში უმისოდ, რომ ამასთანავე იმ ფენების მთელი ზედნაშენი, რომელნიც ოფიციალურ საზოგადოებას შეადგენენ, არ იქნეს გაცამტვერებული" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", გვ. 40).

ამგვარად, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ძირითად იდეას, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ წიგნს, წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. პროლეტარიატი რევოლუციის გზით ამხობს რა ბურჟუაზიის ბატონობას, გადაიქცევა გაბატონებულ კლასად და მთელ „თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ ბურჟუაზიას თანდათან გამოჰგლიჯოს მთელი კაპიტალი, მოახდინოს ყველა საწარმოო იარაღთა ცენტრალიზაცია სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში, და რამდენადაც კი შესაძლებელია, სწრაფად გაამრავლოს მწარმოებელ ძალთა რაოდენობა (იქვე გვ. 50).

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" დასახეს საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნის გრანდიოზული პროგრამა. მაგრამ მათ არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ საზოგადოების განვითარების ყველა და ყოველგვარი მოსახვევები, მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარების დეტალები, კომუნისტური საზოგადოების განვითარების მდიდარი ფორმები.

მარქსიზმი შემოქმედებითი მეცნიერებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი პრინციპები ვითარდებიან და ახალი შინაარსით ივსებიან, მარქსიზმის ძველი დებულებები ახალი დებულებებით ღრმავდება და ვითარდება.

მას შემდეგ, რაც ცხოვრება წინ წავიდა, მუშათა მოძრაობა ახალი გამოცდილებით გამდიდრდა, ზოგიერთი რეაქციული და წვრილბურჟუაზიული პარტიები გაკოტრდნენ, მარქსი და ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ახალი გამოცემის წინასიტყვაობაში მიუთითებდნენ, რომ ზოგი დებულება „მანიფესტში" მოძველდა და შესწორებას მოითხოვს. ერთერთი ასეთი შესწორება უნდა შეხებოდა, მაგალითად, პროლეტარიატის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას და მისი ფორმის საკითხს, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შემდეგ დააზუსტეს და ახალი ფორმულირება მოგვცეს პროლეტარიატის დიქტატურის სახით.

მარქსი და ენგელსი წინასწარ სჭვრეტდნენ პროლეტარული პარტიის, მუშათა კლასის ხელმძღვანელი ავანგარდის შექმნის აუცილებლობას კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნისტური საზოგაოების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ასეთ პარტიად მათ მიაჩნდათ კომუნისტების პარტია, რომელიც სხვა პარტიებისაგან განსხვავებით წინ აყენებს პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს.

ახლა პრაქტიკამ დაამტკიცა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების ამ გენიალურ განმჭვრეტელობას.

მარქსი და ენგელსი ოცნებობდნენ ევროპის ხალხთა მეგობრობაზე, მშვიდობიან საერთაშორისო თანამშრომლობაზე. „გულწრფელი საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპის ხალხებისა, — ამბობდა ენგელსი, — შესაძლებელი არის მხოლოდ იმ პირობებით, თუ თვითეული ეს ხალხი სრული ბატონ-პატრონია თავის საკუთარ სახლში". (კ. მარქსი და ფ. ენგელსი „მანიფესტი" გვ. 12). ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დღეს ევროპის ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, ინგლის-ამერიკის პლუტოკრატიული, დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუშათა კლასის გენიალური ბელადები — კარლ მარქსი და ფრ. ენგელსი, წინასწარმეტყველებდნენ, რომ რევოლუცია გადაინაცვლებს აღმოსავლეთისაკენ და რომ რუსეთი გახდებოდა რევოლუციური მოძრაობის ცენტრი. მათი სიტყვები, რომ „რუსეთი... წარმოადგენს ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს (იქვე გვ. 4), რომ „რუსეთის რევოლუცია გახდება სიგნალი მუშათა რევოლუციისა დასავლეთში" (იქვე), იყო გენიალური წინასწარმეტყველება. თუმცა ცხოვრება დეტალებში იმ კონკრეტული გზით არ წასულა, როგორც ისინი ფიქრობდნენ, მაგრამ საერთო ტენდენციაში მათი შეხედულება მაინც სინამდვილედ იქცა. რუსეთი მართლაც ჩაუდგა სათავეში მთელი მსოფლიოს პროგრესულ მოძრაობას კომუნიზმისაკენ. „მანიფესტის" დიადი იდეები დედამიწის ერთ მეექვსედზე, — ჩვენს ქვეყანაში, სინამდვილედ იქცნენ. კაპიტალისტური მსოფლიოს გარდაქმნის დიადი პროგრამა, რომელიც „მანიფესტშია" მოცემული, საბჭოთა ქვეყანაში ბრწყინვალედ განხორციელდა; ამას ჩვენ მივაღწიეთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქს-ენგელს-ლენინის საქმის განმგრძობის —დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ლენინმა და სტალინმა გააღრმავეს და განავითარეს მარქსიზმი მუშათა მოძრაობისა და სოციალისტური მშენებლობის ახალი გამოცდილებით. ლენინ-სტალინის თეორია წარმოადგენს მომავლის მეცნიერული განმჭვრეტელობის უტყუარ საფუძველს.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" იდეებმა ასი წლის წინათ გაანათეს კომუნიზმის დიადი გზა. ეს იდეები უნათებდა გზას საბჭოთა ხალხებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ იდეებით, რომლებიც კიდევ უფრო გააღრმავეს და განავითარეს ლენინმა და სტალინმა, საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, სრული კომუნიზმისაკენ. ამ იდეებით გაიმარჯვებენ მსოფლიოს ყველა ხალხები კაპიტალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დ. კალანდაძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

# „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გავრცელება საქართველოში

კ. მარქსის და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა" გამოქვეყნების პირველ დღეებიდანვე უდიდესი გავრცელება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. იგი მალე ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, პოლონურ, შვედურ, დანიურ, ესპანურ, ბელგიურ და მრავალ სხვა ენაზე. ცოტა უფრო გვიან „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა" გავრცელება ჰპოვა საქართველოშიც.

მარქსისა და ენგელსის ნაშრომებს საქართველოში მოწინავე ინტელიგენტები ჯერ კიდევ მარქსისტული ორგანიზაციების შექმნამდე იცნობდნენ. მარქსისა და ენგელსის მეცნიერულ მოძღვრებას ქართველი საზოგადოება გაეცნო, ერთი მხრივ, რუსეთსა და ევროპაში სწავლა-მიღებული ქართველი ახალგაზრდების, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთიდან გადმოსახლებული მოწინავე სოციალ-დემოკრატების მეშვეობით.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართველი პუბლიცისტ-ჟურნალისტები ხშირად სწერდნენ პირველ ინტერნაციონალზე, ეხებოდნენ ინტერნაციონალის საქმიანობას, მიზნებს და იხსენიებდნენ კარლ მარქსს, როგორც პირველი ინტერნაციონალის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს. უფრო ხშირად შევხვდებით ცნობებს ქართულ პრესაში — მარქსისა და ენგელსის შესახებ XIX საუკუნის 80-იან წლებში, განსაკუთრებით ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერლის ა. ფურცელაძის წერილებში.

1886 წლის 27 აპრილს გაზეთ „თეატრში" კ. მარქსის „კაპიტალის" მეორე ტომის რუსულ ენაზე გამოსვლასთან დაკავშირებით დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფიული წერილი. ამ წერილში ზ. ჭიჭინაძე აცნობს მკითხველთ მარქსისა და ენგელსის მეგობრულ ურთიერთობას, აგრეთვე იმას, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწია ენგელსმა მარქსის ნაწერების გამოცემის დარგში.

მარქსისა და ენგელსის ნაწერები ფართოდ გავრცელდა საქართველოში მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დამლევსა და 900-იანი წლების დასაწყისში, იმ პერიოდიდან, როცა ამხანაგმა სტალინმა თბილისში შეჰქმნა არალეგალური მარქსისტული წრეები და უშუალოდ წარმართავდა მათს მუშაობას.

ახალგაზრდა სტალინი თვითონ გულდასმით სწავლობდა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწერებ და ამავე დროს ხელს უწყობდა მათს გავრცელებას და შესწავლას არალეგალურ მუშათა მარქსისტულ წრეებში.

როგორც ამხანაგ სტალინის მოკლე ბიოგრაფიაში ვკითხულობთ იმ პერიოდში: „სტალინი ბევრს და გულმოდგინედ მუშაობს თავის თავზე. იგი სწავლობს მარქსის „კაპიტალს", „კომუნისტური პარტიის მანიფესტს" და მარქსისა და ენგელსის სხვა ნაშრომებს, ეცნობა ლენინის ნაწარმოებებს, მიმართულს ნაროდნიკობის, „ლეგალური მარქსიზმისა" და „ეკონომიზმის" წინააღმდეგ (ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია. 1947 წ. გვ. 10-11).

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დამლევს არალეგალური მარქსისტული წრეების წევრთა შორის მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომი ხელთნაწერის სახით ვრცელდებოდა. ამავე პერიოდში ქართულ ენაზე უთარგმნიათ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", რომელიც დაიბეჭდა ჰექტოგრაფზე და ფართოდ ვრცელდებოდა როგორც არალეგალური მარქსისტული წრეების წევრთა შორის, ისე წრეების გარეთ მყოფ მუშებში და რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციაში.

ქართულად ნათარგმნი და ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" ხელიდან ხელში გადადიოდა და ძნელი საშოვარი იყო.

როგორც პოლიციის დეპარტამენტისადმი გაგზავნილ, ჟანდარმერიის მიერ შედგენილ საბრალმდებო დასკვნებიდან ირკვევა, რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატს ივანე ლუზინს 1898 წელს ბათუმიდან გაუგზავნია წერილები ქუთაისში მყოფი პარტიული ამხანაგებისათვის, რათა გაეგზავნათ მისთვის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ქართული თარგმანი. ამის შესახებ თვითონ ივანე ლუზინმა 1898 წლის 12 დეკემბერს აჩვენა პოლიციას.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" პირველი ქართული თარგმანი შეიცავდა „მანიფესტის" მხოლოდ პირველ თავს—„ბურჟუები და პროლეტარები".

ამავეს ადასტურებს პოლიციის 1898 წლის 7 მარტის ოფიციალური მიწერილობა დეპარტამენტისადმი, საიდანაც ვტყობილობთ, რომ იმჟამად ბათუმში დაპატიმრებულ, რუსეთიდან გადმოსახლებულ სოციალ-დემოკრატს გიორგი ფრანჩესკის აღმოუჩინეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ქართული თარგმანი, რომელიც შეიცავდა მხოლოდ მანიფესტის პირველ თავს „ბურჟუები და პროლეტარები" და გადაწერილი ყოფილა ვინმე კალანდაძის ხელით.

არალეგალურ მარქსისტულ წრეებში ჩაბმული მუშები დიდ მოთხოვნებს აყენებდნენ მარქსისა და ენგელსის შრომების ქართულ ენაზე თარგმნასა და დაბეჭდვაზე. ამით იყო გამოწვეული, რომ იმდროინდელ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებში მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებიდან დაიბეჭდა ცალკეული ნაწყვეტები. მაგალითად, ჟურნალ „მოგზაურის" 1905 წლის № 29-ში (გვ. 468-469) დაიბეჭდა ენგელსის ნაშრომი სათაურით — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა"; ჟურნალ „ივერიის ბიბლიოთეკის" 1905 წლის მე-4 ნომერში (გვ. 139-188) დაიბეჭდა ენგელსის ნაშრომი „საპოლიტიკო ეკონომიის კრიტიკა". ჟურნალ „მოგზაურის" 1905 წლის 31-ე და 32-ე ნომრებში (გვ. 497-499 და 512-513) დაიბეჭდა ენგელსის ბიოგრაფია.

მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრების — მარქსისა და ენგელსის დიადი ნაშრომების ქართულად თარგმნასა და დაბეჭდვას, კერძოდ კი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ქართულ ენაზე თარგმნას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა რუსეთის 1905 წლის პირველი რევოლუციის პერიოდში.

ქართულ ენაზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ცალკე წიგნად გამოცემამდე იგი იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში ჟურნალ „მოგზაურში" — „ბურჟუა და პროლეტარის" საერთო სათაურით. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ეს თარგმანი კონსპირაციის დაცვის მიზნით იბეჭდებოდა ავტორების დაუსახელებლად, ყოველგვარი შენიშვნებისა და წინასიტყვაობის გარეშე.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" პირველი თარგმანის პირველი თავი დაიბეჭდა ჟურნალ „მოგზაურის" 1905 წლის 3 ივლისის № 24-ში გვ. 388-390, 11 ივლისის № 25-ში გვ. 401-403; „მანიფესტის" მეორე თავი— „პროლეტარები და კომუნისტები" დაიბეჭდა ქვესათაურით „პროლეტარი და კომუნისტები" ჟურნალ „მოგზაურის" 1905 წლის 31 ივლისის № 28-ში გვ. 447-448; 7 აგვისტოს № 29-ში გვ. 470-471 და 14 აგვისტოს № 30-ში.

1905 წელს „კომუნისტური მანიფესტი" ცალკე წიგნად გამოვიდა. იგი დაიბეჭდა რსდმპ თბილისის კომიტეტის სტამბაში. მანიფესტს დართული არა ჰქონდა მარქსისა და ენგელსის არცერთი წინასიტყვაობა.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი" ქართულ ენაზე მეორედ გამოცემულ იქნა 1917 წელს რსდმპ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის მიერ. იგი წარმოადგენს 1905 წლის გამოცემის ასლს. ეს გამოცემა არ იყო დამაკმაყოფილებელი თარგმანის მხრივ.

მესამედ „მანიფესტი" გამოცემულ იქნა ბოლშევიკური პარტიის თბილისის კომიტეტის მიერ 1919 წელს. იგი წარმოადგენს მეექვსე გერმანული გამოცემის ქართულ თარგმანს. ეს გამოცემა იმით განსხვავდება წინა გამოცემებისაგან, რომ მას დართული აქვს მარქსისა და ენგელსის მიერ ერთად დაწერილი წინასიტყვაობა და ფრ. ენგელსის მიერ მარქსის გარდაცვალების შემდეგ დაწერილი ორი წინასიტყვაობა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გენიალური ნაშრომების და მათ შორის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოქვეყნებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1923 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ეკონომიური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ ფ. მახარაძის რედაქტორობით ქართულ ენაზე თარგმნილ და გამოცემულ იქნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" მეოთხე გამოცემა 1.000 ცალი ტირაჟით. მანიფესტის ეს გამოცემა თავისი ხარისხით გაცილებით მაღლა დგას ყველა წინა გამოცემაზე.

1928 წელს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" მეხუთედ იქნა გამოცემული სახელგამის მიერ 5.000 ცალი ტირაჟით. 1933 წელს სახელგამმა მეექვსედ გამოსცა „მანიფესტი" 15.000 ცალი ტირაჟით.

და ბოლოს, 1940 წელს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა კვლავ გამოსცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ეს იყო ქართულ ენაზე მანიფესტის მეშვიდე გამოცემა.

50 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ორგანიზაციულად დარაზმულმა და პოლიტიკურად აღზრდილმა საქართველოს მოწინავე მუშებმა და სოფლის უღარიბესმა გლეხებმა პირველად ინახულეს ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი მარქსისა და ენგელსის დიადი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი".

მას შემდეგ მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს რევოლუციურმა მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხებმა, რუს მუშებთან და გლეხებთან ერთად ბევრი ბრძოლა გადაიხადეს მეფის თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის დასამხობად, სანამ ეს ბრძოლა 1917 წლის ოქტომბერში გამარჯვებით არ დააგვირგვინეს. დიდმა ოქტომბერმა ხორცი შეასხა მარქსისა და ენგელსის მიერ უკვდავ „მანიფესტში" 100 წლის წინათ ჩამოყალიბებულ მეცნიერულ იდეებს.

ნ. ჩახვაშვილი
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

## ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

**ᲞᲠᲐᲦᲐ**, 23 თებერვალი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური განცხადება:

„სახელმწიფო უშიშროების ცენტრალურმა ორგანოებმა რესპუბლიკის დაცვის კანონის შესაბამისად სასამართლოში შეიტანეს მასალები პარლამენტის დეპუტატ იან ურსინიზე. ურსინი ჯაშუშ ოტო ობუხს — დურჩანსკის აგენტს — გადასცემდა დიდმნიშვნელოვან სამხედრო სახელმწიფო საიდუმლოებას, აწვდიდა მას ინფორმაციას მთავრობის დახურული სხდომების შესახებ, რომლებშიც იგი მონაწილეობას იღებდა როგორც პრემიერ-მინისტრის მოადგილე, და მის განკარგულებაში გადასცემდა ამ სხდომების საიდუმლო ოქმებს. ურსინი ობუხს სხვა ინფორმაციასაც აწვდიდა და იმის საშუალებას აძლევდა, რომ მის კაბინეტში ეწარმოებინა ჯაშუშური მუშაობა. ობუხის დაპატიმრების შემდეგ იგი თავისი კაბინეტის პერსონალთან ერთად და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივნის დოქტორ თევდორე გოჯას პირდაპირი თანამონაწილეობით ჩქმალავდა ობუხის ჯაშუშური საქმიანობის კვალს და თავის სეიფში უმალავდა სახელმწიფო უშიშროების მუშაკებს წერილებსა და მასალას, რომლებითაც მხილებული იყო ობუხი და მისი კავშირი დურჩანსკისთან და ამ უკანასკნელის მეკავშირესთან სტოკჰოლმში. გამცემის მამხილებელი ეს მასალა ურსინის სეიფში აღმოჩნდა 1947 წლის 27 სექტემბერს. საპარლამენტო იმუნიტეტის კომიტეტს მოეთხოვა, რომ დეპუტატი იან ურსინი გადაცემულ იქნას სამართალში მისაცემად. ბრალდება წაყენებულია იმიტომ, რომ, მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა 20 თებერვლამდე ვერ მოახერხა მოეწვია მინისტრთა ის კომისია, რომელიც მთავრობის 1947 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით შედგენილ იქნა პრემიერ-მინისტრის გადამდგარი მოადგილის ურსინის საქმის განსახილველად“.

**ᲞᲠᲐᲦᲐ**, 23 თებერვალი. (საკდესი). დღეს საღამოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრესას გადასცა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„მთავრობის კრიზისის პერიოდში უშიშროების მიზნით მიღებული გადამწყვეტი ზომების მეოხებით, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსად არ დარღვეულა ცხოვრება, სიმშვიდე და წესრიგი. საზოგადოებრივი მშვიდობა და წესრიგი უზრუნველყოფილი იყო იმის მეოხებით, რომ ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა დროულად აღმოაჩინეს სახალხო-სოციალისტური პარტიის მზადება ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული პუტჩისათვის. ამ პუტჩის მიზანი იყო იმ მინისტრების გადადგომისთანავე, რომლებიც მთავრობაში სახალხო-სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებად იყვნენ, ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ორგანიზაციული მზადება ჩატარებული იყო უაღრესად გულმოდგინედ. ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული პუტჩი მზადდებოდა სახალხო-სოციალისტური პარტიის სამხედრო კომისიებში, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. შეთქმულნი კონტროლს უწევდნენ ჯარის ნაწილებისა და ნაციონალური უშიშროების კორპუსის განლაგებას და აიარაღებდნენ თავიანთ ხალხს თავდაცვის კავშირის განკარგულებაში არსებული იარაღით. შეთქმულნი ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ხელში ჩაეგდოთ რადიოსადგური და სხვა“.

23 თებერვალს ღამით, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, უშიშროების სამხედრო და სამოქალაქო ორგანოებმა, მიღებული გულმოდგინე ზომების მეოხებით, აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომლებიც შუქს ჰფენენ უკანასკნელი დღეების ამბებს. პრაღის მეთორმეტე რაიონში დაპატიმრებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის არმიის ორი ოფიცერი, სახელდობრ შტაბს-კაპიტანი ტეიხმანი — სახალხო-სოციალისტური პარტიის საერობო ორგანიზაციის სამხედრო კომისიის წევრი და შტაბს-კაპიტანი იაროსლავ ნემეჩეკი — სახალხო-სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო კომისიის წევრი. დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე რამდენიმე სამოქალაქო პირი. დაპატიმრებულ ოფიცრებს აღმოაჩნდათ არალეგალურად შენახული იარაღი და დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ სახალხო-სოციალისტური პარტიის პასუხისმგებელ მოღვაწეებს განზრახული ჰქონდათ მოეხდინათ ანტისახელმწიფოებრივი სამხედრო გადატრიალება, დაეკავებინათ საზოგადოებრივი შენობები და გამოეწვიათ სამოქალაქო ომი. გამოძიებით გამოირკვა, რომ შტაბს-კაპიტან ტეიხმანს მიცემული ჰქონდა რწმუნება დაეკავებინა უწინარეს ყოვლისა პრაღის მეთორმეტე რაიონში არსებული რადიოსადგური და იმ შემთხვევაში, თუ ამას ვერ მოახერხებდა, იგი ემზადებოდა იმისათვის, რომ რადიოსადგურის შენობაში გაეგზავნა დივერსანტი, რომელიც დაანგრევდა რადიოსადგურის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს.

უშიშროების ორგანოებმა განახორციელეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც საზოგადოებრიობას ეუწყება, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება გამოძიების ინტერესების მიხედვით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადების დასასრულს ნათქვამია, რომ დღეს შუადღისას შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ნოსეკმა ინახულა რესპუბლიკის პრეზიდენტი და გადასცა მას ინფორმაცია შეიარაღებული პუტჩისათვის მზადების აღმოჩენისა და ამ პუტჩის სალიკვიდაციოდ მიღებული ზომების შესახებ.

## ᲞᲠᲐᲦᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

**ᲞᲠᲐᲦᲐ**, 24 თებერვალი. (საკდესი). შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც ეხება შეიარაღებული პუტჩის მომზადებას, რის მოხდენასაც სახალხო-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები აპირებდნენ პრაღაში. ცნობაში ნათქვამია, რომ უშიშროების ორგანოები და სამხედრო ორგანოები 24 თებერვალს განაგრძობდნენ იმ პირების დაკითხვას, რომლებიც დაპატიმრებული არიან შეიარაღებული პუტჩის მომზადებასთან დაკავშირებით. გამოძიებამ ცხადჰყო, რომ ძალადობით გადატრიალების მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო-სოციალისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები. მათ უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში და, განსაკუთრებით უკანასკნელი კვირის განმავლობაში, აქტიური საქმიანობა გააჩაღეს და ემზადებოდნენ ეს ძალადობის აქტი თავისი მინისტრების გადადგომისთანავე მოეხდინათ.

დაპატიმრებულ იქნა ეროვნული უშიშროების კორპუსის შტაბს-კაპიტანი ანტონინ ბლაგა, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ იგი სახალხო-სოციალისტური პარტიის მოღვაწეებისათვის შოულობდა ცნობებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოს უშიშროებისა და დაცვისათვის. ჯერ კიდევ ამა წლის 9 თებერვალს იგი მოლაპარაკებას ეწეოდა თვალსაჩინო მოღვაწეებთან სახალხო-სოციალისტური პარტიის სამდივნოში პრაღის მნიშვნელოვანი ობიექტების მდგომარეობასა და დაცვის გეგმებზე.

ანტონინ ბლაგამ დაასახელა მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ამჟღავნებს იმათ, ვინც ძალადობით გადატრიალებასა და შეიარაღებულ პუტჩს ამზადებდა. 9 თებერვალს ბლაგამ ინახულა სახალხო-სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და მოლაპარაკებას ეწეოდა მდივან ფრანტიშეკ ჩერნოგლავეკასთან, რომელსაც მან ჰკითხა, ვის გადაეცა გეგმა პრაღაში საალყო წესების გამოცხადების შესახებ. ჩერნოგლავეკამ კაპიტანი ბლაგა გაგზავნა პარლამენტის დეპუტატ ოტო გორასთან, რომელიც აგრეთვე ჩარეული შეიარაღებული პუტჩის მომზადებაში.

ბლაგამ სთქვა, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა მან დაიწყო უშიშროების საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის წევრის, სახალხო სოციალისტური პარტიის დეპუტატ ალოიზ ჩიჩკას გავლენით.

გამოძიების ორგანოებმა, — ნათქვამია შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობაში, — გამოარკვიეს, რომ სახალხო-სოციალისტური პარტიის მოღვაწეებმა გაძლიერებული მზადების უკანასკნელი კვირის განმავლობაში გაამზადეს მათს განკარგულებაში არსებული იარაღი. ამაზე გამოცემული იყო სპეციალური ბრძანება. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ცენტრში აღმოაჩინეს 140 შაშხანა, 4 ავტომატი და საომარი მასალის მარაგი.

მეტად მნიშვნელოვანი მამხილებელი მასალები აღმოუჩინეს ორ დაპატიმრებულ ოფიცერს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პრაღაში შეიარაღებული პუტჩის მომზადებაში. მაგალითად, დაპატიმრებული შტაბს-კაპიტანი ტეიხმანი უნდა გაეგზავნათ სსრ კავშირში. სსრ კავშირში მისი გაგზავნა უნდა განეხორციელებინა პარლამენტის დეპუტატ ლოუბალს. ტეიხმანი მიწვეულ იქნა სახალხო-სოციალისტური პარტიის ცენტრალურ სამხედრო კომისიაში, სადაც მას მისცეს კონკრეტული ინსტრუქციები, რომლებიც ეხებოდნენ მის საქმიანობას სსრ კავშირში.

დაპატიმრებული შტაბს-კაპიტანი ნემეჩეკი ერთ-ერთი იმ პირთაგანია, რომელთაც გასული წლის დეკემბრის ბოლოს სურდათ ზოგიერთი სამხედრო პირი ჩაებათ პროვოკაციულ გამოსვლაში პრაღის ვაცლავის მოედანზე ამა წლის იანვრის ბოლოს. როგორც დასასრულ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, გამოძიება გრძელდება.

## ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

**ᲞᲠᲐᲦᲐ**, 25 თებერვალი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენეშმა მიიღო ყველა იმ მინისტრის გადადგომა, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობაში შედიოდნენ სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიებისაგან.

დღესვე პრეზიდენტმა დაამტკიცა პრემიერ-მინისტრ გოტვალდის მიერ მისთვის წარდგენილი ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: კლემენტ გოტვალდი — პრემიერ-მინისტრი (ჩეხოსლოვაკიის კომპარტია); ვილიამ შიროკი — პრემიერ-მინისტრის მოადგილე (სლოვაკიის კომპარტია); ბოგუმილ ლაუშმანი—პრემიერ-მინისტრის მოადგილე (სოციალურ-დემოკრატიული პარტია); ანტონინ ზაპოტოცკი — პრემიერ-მინისტრის მოადგილე (პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომპარტია); იან მასარიკი — საგარეო საქმეთა მინისტრი (უპარტიო); გენერალი ლ. სვობოდა — ეროვნული თავდაცვის მინისტრი (უპარტიო); ზდენეკ ფირლინგერი—მრეწველობის მინისტრი (სოციალურ-დემოკრატიული პარტია); გარდა ამისა, ახალი მთავრობის შემადგენლობაში არიან: ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 7 წევრი, სლოვაკიის კომუნისტური პარტიის 2 წევრი, სოციალურ-დემოკრატიული პარტიის 2 წევრი, სახალხო-სოციალისტური პარტიის 2 წევრი, სახალხო პარტიის 2 წევრი, სლოვაკიის „თავისუფლების პარტიის“ 1 წევრი და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიის 1 წევრი.

## ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ

**ᲞᲠᲐᲦᲐ**, 25 თებერვალი. (საკდესი). მთელს ჩეხოსლოვაკიაში იქმნება ახალი ეროვნული ფრონტის მოქმედების კომიტეტები. პრაღაში მიღებულია ცნობები, რომ მოქმედების სასოფლო, საქალაქო და საოლქო კომიტეტები უკვე შეიქმნა მორავსკა ოსტრავაში, ზვოლინში, ტაბორსა და ბევრ სხვა ქალაქში. მოქმედების კომიტეტები იქმნება საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. განათლების სამინისტროს თანამშრომელთა საერთო კრებაზე, განათლების სამინისტროსა, რომელსაც დღემდე მეთაურობდა ცნობილი რეაქციონერი სტრანსკი, შეიქმნა სამინისტროს მოსამსახურეთა მოქმედების კომიტეტი. მოქმედების კომიტეტმა თავისი არჩევისათანავე ინახულა მინისტრი სტრანსკი და სამინისტროს მთელი კოლექტივის სახელით მოითხოვა მისი წასვლა.

მოქმედების კომიტეტი შექმნილია აგრეთვე საგარეო ვაჭრობის სამინისტროში, სადაც მინისტრად იყო სახალხო-სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი რიპკა, ასეთივე კომიტეტი შეიქმნა ტრანსპორტისა და სხვა სამინისტროებში.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

### ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

**ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ**, 24 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კინოთეატრ „რომას“ დარბაზში შესდგა საბჭოთა არმიის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრებას დაესწრნენ: სეიმის წარმომადგენლები სეიმის ვიცე-მარშალ ზამბროვსკის მეთაურობით, პრემიერ-მინისტრი ცირანკევიჩი, ვიცე-პრემიერები გომულკა და კორციკი და მთავრობის სხვა წევრები, პოლონეთის ჯარის გენერალიტეტი და ოფიცრები ეროვნული თავდაცვის მინისტრის მარშალ ჟიმერსკის მეთაურობით, აგრეთვე დემოკრატიული პარტიების, პროფკავშირების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სხვა წარმომადგენლები.

კრების მონაწილეები გულითადად მიესალმნენ სსრ კავშირის ელჩს პოლონეთში ლებედევს და სსრ კავშირის სამხედრო ატაშეს პოლონეთში გენერალ-მაიორ მასლოვს, რომლებიც კრებაზე მოვიდნენ.

შეკრებილებმა მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია მოაწყეს ძლევამოსილი საბჭოთა არმიისა და მისი ბელადის გენერალისიმუს სტალინის პატივსაცემად.

### ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ**, 24 თებერვალი. (საკდესი). ბელგრადში, ზაგრებსა და იუგოსლავიის სხვა ქალაქებში შესდგა საუბრები, მოხსენებები და ლექციები საბჭოთა არმიის, მისი ძლიერების და ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში მის მიერ შეტანილი უდიდესი წვლილის შესახებ.

გუშინ ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ კოლარჩევის უნივერსიტეტში მოაწყო საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრნენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კარდელი, იუგოსლავიისა და სერბიის მთავრობათა წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, იუგოსლავიის არმიის გენერლები და ოფიცრები, ჟურნალისტები და სხვა პირები.

### ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ**, 24 თებერვალი. (საკდესი). ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ გუშინ კაზმული ხელოვნების სასახლეში საზეიმო საღამო მოაწყო საბჭოთა არმიის 30 წლისთავის გამო. საღამოს დაესწრო 4 ათასამდე კაცი. მომხსენებელმა, ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მდივანმა ზინგერმა განაცხადა, რომ მხოლოდ საბჭოთა არმიის ზამთრის შეტევის მეოხებით 1944-45 წლებში ჩაიფუშა დასავლეთში გერმანელთა ზამთრის შეტევის გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კვლავ დაეპყროთ ბელგია და ელზასი.

საბჭოთა არმიამ, — სთქვა მომხსენებელმა,— თავისი შეტევით ბელგია განადგურებას გადაარჩინა.

მოხსენების შემდეგ აჩვენეს საბჭოთა ფილმები: „ადმირალი ნახიმოვი“ და „ფიზკულტურელთა პარადი მოსკოვში 1947 წელს“.

### ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

**ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ**, 24 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტში შესდგა საბჭოთა არმიის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრებას დაესწრნენ: მთავრობის წევრები დოქტორ პეტრუ გროზას მეთაურობით, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ს. ი. ქავთარაძე, გენერალი ბუნიაშინი, რუმინეთის არმიის გენერალიტეტი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

პროვინციის ყველა ქალაქში ამ დღეს აგრეთვე შესდგა საბჭოთა არმიის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები.

## ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

**ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ**, 23 თებერვალი. (საკდესი). ყრილობის დელეგატთა გამოსვლები გეორგიუ-დეჟის მოხსენების გამო, რაც გუშინ საღამოს სხდომაზე დაიწყო, დღეს დილის სხდომაზე გრძელდებოდა.

ყრილობის დელეგატი ტეოხარი ჟორჟესკუ შეეხო საკითხს იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს ახალ ადმინისტრაციულ რეფორმას რუმინეთში. ადმინისტრაციული რეფორმა, რომელიც ჩვენ ამჟამად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის წამოვაყენეთ, სთქვა მან, ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ძალაუფლებას უნდა ახორციელებდეს ხალხი თვით მის მიერ არჩეულ ხელისუფლების ორგანოთა საშუალებით. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ხალხი იქნება სახალხო საბჭოებში არჩეულ წარმომადგენელთა სახით. სახალხო საბჭოები, რომლებშიც შევლენ მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, ყველაზე ძლიერი ბერკეტი იქნება მუშათა მასებში, მშრომელთა მასებში ერთიანობის განსამტკიცებლად.

ყრილობის პრეზიდიუმის წევრი იორდაკესკუ თავის სიტყვაში მხურვალედ მიესალმა საბჭოთა არმიას მისი 30-ე წლისთავის გამო. ყრილობა ამ მისალმებას მქუხარე ტაშით შეხვდა.

ყრილობის მონაწილეთა წინადადებით არჩეულ იქნა დელეგაცია, რომელმაც რუმინეთში საბჭოთა საელჩოს უნდა გადასცეს ყრილობის მისალმება საბჭოთა არმიისადმი.

რადაჩანუს მოხსენების გამო დელეგატთა გამოსვლების შემდეგ ყრილობის დღის წესრიგში დაისვა საკითხი რუმინეთის მუშათა პარტიის წესდების მიღების შესახებ.

წესდება ერთსულოვნად მიიღო ყრილობის ყველა მონაწილემ.

ამის შემდეგ ყრილობის დელეგატმა ბარბუ სოლომონმა წამოაყენა წინადადება რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა არჩევის შესახებ. ყრილობა კენჭისყრას შეუდგა. კენჭისყრის შემდეგ სხდომა განახლდა გეორგიუ-დეჟის თავმჯდომარეობით.

მქუხარე ოვაციაში წაკითხულ იქნა ყრილობის მისასალმებელი დეპეშა გენერალისიმუს სტალინისადმი. ამის შემდეგ ყრილობის დელეგატმა რანგეცმა წაიკითხა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა არჩევნების კენჭისყრის შედეგები. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია გეორგიუ-დეჟის მოხსენების გამო.

საბოლოო სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ანა პაუკერმა.

ყრილობამ ამით დაამთავრა თავისი მუშაობა.

## ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

**ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ**, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს შესდგა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა აირჩია პოლიტბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ: გეორგე აპოსტოლი, ემილ ბოდნარაში, იოსებ კიშინევსკი, მირონ კონსტანტინესკუ, ტეოხარი ჟორჟესკუ, გეორგე გეორგიუ-დეჟი, ტეოდორ იორდაკესკუ, ვასილე ლუკა, ალექსანდრუ მოგიოროში, ანა პაუკერი, ლოტარ რადაჩანუ, გეორგე ვასილიკე, სტეფან ვოიტეკი.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან: კივუ სტოიკა, მიხაი მორარუ, იოსებ რანგეცი, ზაქარია ტანასე, ვასილე ვაიდა.

დღესვე შესდგა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პირველი სხდომა.

სხდომაზე არჩეული იქნა ცენტრალური კომიტეტის სამდივნო. მდივნებად არჩეული არიან: გეორგე გეორგიუ-დეჟი (გენერალური მდივანი), ანა პაუკერი, ვასილე ლუკა, ტეოხარი ჟორჟესკუ, ლოტარ რადაჩანუ.

## ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების მორიგ სხდომაზე ავსტრიის საზავო ხელშეკრულების შესახებ გრძელდებოდა საბჭოთა წინადადების ცალკეულ დებულებათა გამორკვევა ავსტრიაში გერმანიის ყოფილი აქტივების თაობაზე. სხვა საკითხთა შორის შეეხნენ საკითხს ნავთის ძიებისა და მოპოვების კონცესიის ვადის შესახებ, რომელიც საბჭოთა წინადადებაში განსაზღვრულია 50 წლით. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა იკითხა, რატომ არის საბჭოთა წინადადებაში აღნიშნული ასეთი ვადა და არა 30 წელი მისი 10 წლით განგრძობით და 5 წელი ძიებისათვის.

საბჭოთა წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოთა წინადადება ემყარება საერთაშორისო პრეცედენტებსა და ამ პრეცედენტებთან შედარებით უფრო მოკლე ვადასაც კი ითვალისწინებს. მაგალითად, ინგლისურმა კომპანიამ „ბასრა პეტროლეუმ ლიმიტედმა“ ერაყის მთავრობისაგან 1938 წელს მიიღო ნავთის ძიებისა და დამუშავების კონცესია 75 წლის ვადით.

## ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

**ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ**, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან დაბრუნდა უნგრეთის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლაიოშ დინიეშის მეთაურობით.

დელეგაციას ვაგზალზე შეხვდნენ პარლამენტის თავმჯდომარე იმრე ნადი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელი ერნე გერე. მთავრობის წევრები, დემოკრატიული პარტიებისა და პროფკავშირების ლიდერები და სხვ.

დელეგაციას მთავრობის სახელით მიესალმა მინისტრი გერე.

„თქვენ მიერ დადებული ხელშეკრულება, — სთქვა მან, — უნგრელი ხალხის ოდინდელი ოცნების შესრულება და ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და დამოუკიდებლობის საწინდარია“.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის მეთაურმა ლაიოშ დინიეშმა.

„მოსკოვის მოლაპარაკებამ, — განაცხადა მან, — მეგობრულ და გულითად ატმოსფეროში ჩაიარა. ჩვენ მიგვიღეს როგორც მოძმე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლები. მოსკოვში მთელი ჩვენი ყოფნის დროს ვგრძნობდით, რომ საბჭოთა კავშირი უნგრეთის დემოკრატიისა და უნგრელი ხალხის ნამდვილი მეგობარია.

აქედან, ბუდაპეშტიდან, მადლობას ვძღვნი გენერალისიმუს სტალინს, რომელმაც, ისე როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ცხადჰყო, რომ ჩვენი ხალხის გულწრფელი და ნამდვილი მეგობარია. დარწმუნებული ვარ, მოსკოვში მიღწეული შედეგები ახალ სტიმულს მისცემენ ჩვენი სამშობლოს აყვავებას.“

## ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

**ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ**, 25 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „უნენმა“ გამოაქვეყნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცნობა:

1948 წლის 22 იანვარს ჩინეთის შეიარაღებულმა რაზმმა 70-მდე კავალერისტის რაოდენობით დაარღვია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი ნოხოი დოლოხუ ბულაკის წყაროს რაიონში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შემოიჭრა 75 კილომეტრით და თავს დაესხა კაბდოსის აიმაკის უიენჩი-სომონის მცხოვრებთ. ჩინეთის რაზმი თავს დაესხა 130-ზე მეტ არატის მეურნეობას.

ორი დღე-ღამის განმავლობაში ჩინეთის შეიარაღებული რაზმი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე სძარცვავდა, ძალადობას აყენებდა და ხოცავდა მშვიდობიან მესაქონლეებს. ჩინეთის რაზმის ჯარისკაცებმა დახოცეს და დასჭრეს უიენჩი-სომონის რამდენიმე კაცი და ქალი. მათ შორის მოკლულია მესაქონლეობის სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე დონხბაი.

ჩინეთის რაზმმა თან წაიყვანა ერთი მონღოლი მესაზღვრე, გაირეკა ათასამდე აქლემი და ცხენი, აგრეთვე გაიტაცა 50-ზე მეტი არატის მეურნეობის საოჯახო ქონება და 24 იანვარს ღამით ჩინეთის ტერიტორიაზე დაბრუნდა.

28 იანვარს ჩინელ ჯარისკაცთა შეიარაღებული ჯგუფი კვლავ 15 კილომეტრით შემოიჭრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თავს დაესხა მონღოლ მესაზღვრეებს ძუნ-ხას ულას მთის რაიონში, მოჰკლა 2 მესაზღვრე, გაირეკა მათი აქლემები, წაიღო იარაღი და ნივთები და ჩინეთის ტერიტორიაზე დაბრუნდა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩინეთის შეიარაღებული რაზმების ამ ახალ ბანდიტურ თავდასხმებთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადამწყვეტი პროტესტი განუცხადა ჩინეთის მთავრობას და მოითხოვა მონღოლეთის საზღვრის დარღვევისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობიან მცხოვრებლებსა და მესაზღვრეებზე შეიარაღებული თავდასხმის დამნაშავეთა სასტიკად დასჯა, წაყვანილი მესაზღვრის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, გარეკილი პირუტყვისა და არატების ჩინეთში წაღებული ქონების დაბრუნება. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა აგრეთვე, რომ უფლებას იტოვებს ჩინეთის მთავრობისაგან მოითხოვოს ყველა სხვა ზარალის ანაზღაურება, რაც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კაბდოსის აიმაკის უიენჩი-სომონის მცხოვრებთ მოუვიდათ მათზე აღნიშნულ ჩინელ შეიარაღებულ რაზმთა თავდასხმის შედეგად.

## ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲑᲔᲕᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ**, 21 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „ჟიცე ვარშავიმ“ გუშინ გამოაქვეყნა თავისი ლონდონელი კორესპონდენტის ცნობა, რომ ბევინი ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებს ლეიბორისტული პარტიიდან გასვლისა და კონსერვატორთა პარტიაში გადასვლის შესახებ.

ლეიბორისტებისადმი სიმპათიით განწყობილი წრეები, სწერს კორესპონდენტი, შეშფოთებული არიან იმით, რომ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელ წრეებში არაჩვეულებრივი ალიაქოთია. როგორც ეტლის მახლობელმა თანამშრომელმა ერთ-ერთ ევროპელ კორესპონდენტს საიდუმლოდ აცნობა, ბევინმა გააფრთხილა პარტიის ხელმძღვანელობა, რომ იგი მთავრობიდან და პარტიიდან გავა, თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებში მოქმედების სრული თავისუფლება არ მიიღო.

როგორც კორესპონდენტი შემდეგ იუწყება, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ შეიტყო, რომ ამას წინათ შესდგა ჩერჩილის, იდენისა და ვულტონის თათბირი. ამ თათბირზე, რომელიც მოწვეულ იქნა უკვე მას შემდეგ, რაც ბევინმა აცნობა ჩერჩილს თავისი განზრახვა, იდენმა და ვულტონმა მხარი დაუჭირეს ბევინის მიღებას კონსერვატორთა პარტიაში, თუ იგი კავშირს გასწყვეტს ლეიბორისტებთან. მაგრამ ჩერჩილი ამ წინადადებებს არ დაეთანხმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ბევინის აშკარა გადასვლა კონსერვატორებთან არ შეესაბამება „ინგლისის პოლიტიკის“ ინტერესებს. ჩერჩილმა წამოაყენა სხვა გეგმა, რომელიც მოწონებულია კონსერვატორთა სხვა ხელმძღვანელების მიერ. ეს გეგმა ჩერჩილმა პირადად აცნობა ბევინს. ჩერჩილმა ურჩია მას დარჩეს ლეიბორისტული პარტიის რიგებში, რათა იმ შემთხვევაში თუ ცალკეული მინისტრები წინააღმდეგობას გაუწევენ მის პოლიტიკას, გამოიწვიოს მთავრობის კრიზისი.

როგორც ცნობილია, ეს მინისტრები ჰგმობენ ბევინის პოლიტიკას იმისათვის, რომ მან განუყრელად დააკავშირა დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ხშირად უმორჩილებს მას დიდი ბრიტანეთის ინტერესებს. ჩერჩილმა განუცხადა ბევინს, რომ მთავრობის კრიზისის შემთხვევაში კონსერვატორები მზად იქნებიან შეჰქმნან კოალიციური მთავრობა ბევინის მეთაურობით.

ლონდონის წრეებში იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ამჟამად ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას ეტლის ინიციატივით თავის საიდუმლო სხდომებზე გამართული აქვს დისკუსია მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ და ცდილობს გამონახოს კომპრომისული გადაწყვეტილება, რომელიც ბევინს ხელს ააღებინებდა ულტიმატურ მოთხოვნებზე.

## ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲖᲝᲚᲢᲐᲜ ᲢᲘᲚᲓᲘ

**ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ**, 25 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით აქ მოსკოვიდან დაბრუნდა უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოლტან ტილდი და პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ერნე მიხაიფი, რომელიც მას ახლდა. ამავე დროს ბუდაპეშტში ჩამოვიდა სსრ კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე პრეზიდენტს შეხვდნენ ტრანსპორტის მინისტრი ერნე გერი და სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ა. ვ. ტიშკოვი.

ბუდაპეშტის ვაგზალზე მატარებლის შესახვედრად შეიკრიბნენ მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ლაიოშ დინიეშის მეთაურობით, პარლამენტის თავმჯდომარე იმრე ნადი, ბუდაპეშტის ბურგომისტრი იოჟეფ ბოგნარი, დემოკრატიული პარტიების ლიდერები, უცხოეთის მთელი რიგი დიპლომატიური მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

### ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

**27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ: ოპერისა და ბალეტის** — „მეფის საცოლე“; **რუსთაველის სახელობის** — „სადგურის უფროსი“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „1917 წელი“; **გრიბოედოვის სახელობის** „ჭაბუკობასთან შეხვედრა“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ალუბლები ჰყვავიან“; **მუსიკალური კომედიის**—„11 უცნობი“.

### ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲘ

**27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ: „რუსთაველი“** — „დავით გურამიშვილი“; **„ოქტომბერი“** — „კოლხიდის ჩირაღდნები“; **„ამირანი“** — „არშინ-მალ-ალან“; **„კომკავშირელი“** — „ვოლგა-ვოლგა“; **„სპარტაკი“** — „დაგვიანებული სასიძო“; **26 კომისრის სახელობის** — „კოლხიდის ჩირაღდნები“ (I დარბაზი), „ოთხთა გული“ (II დარბაზი).

ა. წ. 27 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3), მოწვეულია საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით:

1. საკავშირო პროფსაბჭოს მე-17 პლენუმის გადაწყვეტილება „პროფკავშირულ კადრებთან მუშაობის შესახებ“ (მომხსენებელი ამხ. ა. ნ. მურუსიძე), 2. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1947 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 1948 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ა. ბ. დადიანი), 3. 1947 წლის პროფბიუჯეტის შესრულებისა და 1948 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ვ. ი. კუშელავა).

პლენუმზე, გარდა ცენტრალური კომიტეტის წევრებისა, მოწვეული არიან კავშირის ყველა საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეები.

კვირას, 29 თებერვალს, **მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ვოროშილოვის სახელობის კლუბის შენობაში** (რუსთაველის პროსპ. № 2) შესდგება **საქართველოს სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმი.**

დღის წესრიგი:

1. პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVII პლენუმის დადგენილების — პროფკადრებთან მუშაობის შესახებ (მომხსენებელი კავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ი. ელიაშვილი).

2. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1947 წლის ბიუჯეტის შესრულების და 1948 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგე ვ. გურგენიძე).

3. მედსანშრომის პროფესიული კავშირის 1947 წლის პროფბიუჯეტის შესრულების და 1948 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ქ. ცქიტიშვილი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 29 თებერვალს, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე კავშირის ც. კ-ის შენობაში და საღამოს 6 ს. 30 წ. კლუბის შენობაში.

**საქართველოს მედსანშრომის პროფესიული კავშირის პრეზიდიუმი.**

საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტრო იუწყება ძველი ბოლშევიკის **სევერიან ზურაბის-ძე მასხულიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-II, 5 ს. მაჩაბლის, 18.

მეუღლე ქსენია იოსელიანი-ცხაკაიასი, შვილები გიორგი და ევგენი იუწყებიან, რომ 29-II, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **სილოვან გიორგის-ძე ცხაკაიას** პანაშვიდი.

შვილები მარგო და ნიკოლოზ გომელაურები ოჯახებით იუწყებიან **ეპრაქსია სოფრომის ასულ შონვაძე-გომელაურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-II, 7 ს. გამოსვენება 29-II, 1 ს. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურიდან (ცამოს, 103).

მეუღლე ალიოშა გაჩეჩილაძე, ძმები ვასილ, დავით ოჯახებით, და ნინო კობახიძეები იუწყებიან **სოფიო პავლეს ასული კობახიძე-გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-II, 7 ს. გამოსვენება 29-II, 3 ს. ბროსეს, 8.

საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტი იუწყება ძველი ბოლშევიკის **სევერიანე ზურაბის-ძე მასხულიას** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ შვილებით, დები ტასო, საშა, ლიზა, ქეთო, მარგო, თამარ ივანიცკები იუწყებიან, რომ კვირას 29-II, დღის 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვახტანგ აპოლონის-ძე ივანიცკის** სამოქალაქო პანაშვიდი.

ძმა აკაკი გაწერელია, შვილი შოთა იუწყებიან, რომ 29-II, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლევან დავითის-ძე გაწერელიას** პანაშვიდი.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან **დავით მიხეილის-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-II, 7 ს. გამოსვენება 29-II, 2 ს. ჯავახიშვილის შესახვევი, 6.

თამარ და ბიქტორ ცაგურიები შვილებით, შურა ბოკუჩავა და მიხეილ ნინუა იუწყებიან **ლევან ყარამანის-ძე ცაგურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-II ზუგდიდში.

ნიკო, მიხეილ, აკაკი, ლეონიდე, თამარ, დოდო, ბაბულია ოჯახებით იუწყებიან **დავით მიხეილის-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას.

მშობლები ნინო, ონისიმე, ძმები იასონ, მიხეილ, რუბენ, შოთა ასათიანები, ალითი, შურა, რომან იუწყებიან **დავით ონისიმეს-ძე ასათიანის** გარდაცვალებას დაკრძალვა 2-III სოფელ ბაშში (სამტრედიის რ.).

მეუღლე ოლღა ქუთათელაძე-მაჭავარიანისა იუწყება, რომ 29-II, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ივანე პავლეს-ძე მაჭავარიანის** პანაშვიდი.

მეუღლე მატრონა, ძმა ვარლამ მასხულიები იუწყებიან ძველი ბოლშევიკის **სევერიან ზურაბის-ძე მასხულიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-II, 5 ს. მაჩაბლის, 18.

ელეფთერ ცერცვაძე ოჯახით იუწყება მამის **ალექსანდრე ოქროპირის-ძე ცერცვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ზესტაფონში, ვოროშილოვის ქ. № 20.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი იუწყება ამავე საზოგადოების უძველესი თანამშრომლის **სევერიან ზურაბის-ძე მასხულიას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის —3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00844